



საგრანტო ხელშეკრულება

ქ.თბილისი

_____, 2018 წელი

ერთი მხრივ, საქველმოქმედო ორგანიზაცია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ცოდნის ფონდი (ს/კ 204530962; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №240), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ანასტასია ბენდუქიძის (პ/ნ: 01601132166) მიერ და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (ს/კ 211359448; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №240), წარმოდგენილი რექტორის, ვახტანგ ლეჟავას (პ/ნ: 01024019706) მიერ, ხოლო მეორე მხრივ, _____

(სტუდენტის სახელი და გვარი)

(საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი: _____), შემდგომში - სტუდენტი, ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. აიპ ცოდნის ფონდი განახორციელებს სტუდენტის სწავლის საფასურის საგრანტო (არადაბრუნებად) დაფინანსებას 9 000 (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით, 8 (რვა) სასწავლო სემესტრის განმავლობაში, ყოველსემესტრულად 1 125 (ათას ასოცდახუთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის სწავლის საფასურის შემცირების შემთხვევაში, ცოდნის ფონდი იგივე მოცულობით ამცირებს საგრანტო დაფინანსებას.

მუხლი 3. ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული გრანტის თანხა წარმოადგენს ცოდნის ფონდის სასწავლო გრანტს და სტუდენტი თავისუფალია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

მუხლი 4. ცოდნის ფონდი ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით დადგენილ თანხას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს გადასცემს სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან აღდგენის შესახებ ინფორმაცია სტუდენტმა და თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ ცოდნის ფონდს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ცოდნის ფონდი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგრანტო დაფინანსებას.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო წლის პირობებით საგრანტო დაფინანსების გაგრძელების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს ცოდნის ფონდს და გააფრომოს ხელშეკრულება.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

შპს თბილისის თავისუფალი

სტუდენტი:

უნივერსიტეტი

ს/კ 204530962

ს/კ 211359448

პირადი ნომერი:

იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, დავით
აღმაშენებლის ხეივანი, №240

იურიდიული მისამართი: ქ.
თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი, №240

საცხოვრებელი ადგილის მისამართი:

ანასტასია ბენდუქიძე
დირექტორი

ვახტანგ ლეჟავა
რექტორი

სტუდენტის (ან კანონიერი
წარმომადგენლის) ხელმოწერა: